# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №24

ქ. ზუგდიდი 10 ოქტომბერი 2012წ.

ერთის მხრივ ოქტომბრის საჯარო სკოლის (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი სკოლის დირექტორის თენგიზ ალმასიას სახით და მეორეს მხრივ ი/მ გულადი ნიკვატია (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი გულადი ნიკვატიას სახით მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველი უკვეთავს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მავთულბადის მიწოდებას, შემდგომში „მომსახურება".

## 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1. გაუწიოს ამ ხელშეკრულების 1.1 პუნქტში გათვალისწინებული მომსახურება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად

2.1.2. შეასრულოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

2.1.3. შემკვეთის მოთხოვნით საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.2. შემსყიდველი ვალდებულია:

2.2.1. დროულად და სრულად გადაიხადოს მომსახურების საფასური ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

## 3. ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს.

3.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის ანგარიშზეთანხის გადარიცხვით, მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშკრულება დადებულია 2012 წლის 10 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 ოქტომბრამდე.

4.2. ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მხარის მიერ წინასწარ გაფრთხილებით.

5. სხვა პირობები

5.1. მხარეები ეცდებიან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაჭრან მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით თუ ის შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვთ ერთნაირი ძალა. ორივე მხარეს აქვს ამ ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

„დ ა მ კ ვ ე თ ი“

ოქტომბრის საჯარო სკოლა

ს/კ 220373566

„ლიბერთი ბანკი"

ბ/კ LBRTGE22

ანგ.№ GE45LB0121113326140000

სკოლის დირექტორი:

„შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი“

ი/მ „გულადი ჩიკვატია"

ს/ნ 19001012169

„პროკრედიტ ბანკი"

ბ/კ MIBGGE22

ანგ.№ GE15PC0173600100018038